საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-510

17/06/2020

ქ. თბილისი

ქ. ფოთის მიმდებარე ტერიტორიაზე (უბანი ნაბადა), 420 933 ტონა ტორფის მოპოვებაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ

სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს მიერ გზშ-ის ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში წარმოდგენილია ქ. ფოთის მიმდებარე ტერიტორიაზე 420 933 ტონა ტორფის მოპოვების სკრინინგის განცხადება.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება დაგეგმილია ქ. ფოთის მიმდებარე ტერიტორიაზე (უბანი ნაბადა), საერთო ფართობი - 1 291 205 მ^2 (129 ჰა). ერთ უბნად წარმოდგენილი სალიცენზიო ობიექტი მდებარეობს კოლხეთის დაბლობზე, ნაბადას ტბის მიმდებარედ, ზღვის დონიდან 0.2-0.7 მეტრზე. ობიექტის ტერიტორია დაფარულია ჭალის ტყისა და ჭაობისთვის დამახასიათებელი მცენარეებით. საპროექტო ტერიტორიის GPS კოორდინატებია: 1. X-720344,2893; Y-4674592,6939; 2. X-721293,3400; Y-4674756,2000; 3. X-722012,8900; Y-4673896,0700; 4. X-721394,8982; Y-4673319,5823; 5. X-720945,8246; Y-4673621,6677. ელექტრონული გადამოწმების შედეგად დადგინდა, რომ საპროექტო ტერიტორიიდან უახლოეს მოსახლემდე მანძილი შეადგენს დაახლოებით 740 მეტრს, მდ. რიონამდე 360 მეტრს, კოლხეთის ეროვნულ პარკამდე 610 მეტრს, ხოლო ნაბადას ტბამდე დაახლოებით 35 მეტრს. განცხადების მიხედვით, ობიექტიდან 310 მეტრში ფიქსირდება გაზსადენი.

წარმოდგენილი სკრინინგის განცხადების თანახმად, ნაბადა I გამოვლინება მიეკუთვნება დაბლობის (ბარის) ტიპს. ტორფის მასივი აგებულია სხვადასხვა სახეობის ტორფით. ფსკერული ნალექები წარმოდგენილია ლამით, ქვიშით და თიხით. მცენარეული საფარი წარმოდგენილია ლერწმით, ისლით და ბალახით.

საინჟინრო-გეოლოგიური პირობების სირთულის მიხედვით ობიექტის ტერიტორია მიეკუთვნება II (საშუალო სირთულის) კატეგორიას. სალიცენზიო ობიექტის ფართობია 1 291 205 მ^2, საშუალო სიმძლავრე -2 მ. წიაღითსარგებლობის ობიექტის დამუშავება მოხდება ღია კარიერული წესით.

განცხადების მიხედვით, სალიცენზიო ობიექტზე ჩატარებულია ტორფის მასივის წინასწარი (რეკოგნოსცირებით) ძიება. წიაღისეულის მარაგების რაოდენობრივი

მაჩვენებლები წარმოდგენილია C_1 კატეგორიით და შეადგენს 420 933 ტონას. ობიექტიდან მოპოვებული წიაღისეული გამოყენებული იქნება სოფლის მეურნეობაში, ორგანული სასუქის სახით.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, სალიცენზიო ობიექტი არ ხვდება სახელმწიფო ტყის ფონდის, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების სიახლოვეს.

განცხადებაში არ არის განხილული საქმიანობასთან დაკავშირებული მახასიათებლები, კერძოდ ნარჩენების წარმოქმნა, ხმაური, ატმოსფერულ ჰაერზე ზემოქმედება, არსებულ ან/და დაგეგმილ საქმიანობასთან კუმულაციური ზემოქმედება. ამასთან, დაგეგმილი საქმიანობის შედეგად გამოწვეული შესაძლო რისკების და საფრთხეების შესახებ ინფორმაცია. განცხადებაში არ არის წარმოდგენილი ინფორმაცია ბუნებრივი რესურსების (განსაკუთრებით-წყლის, ნიადაგის, მიწის, ბიომრავალფეროვნების) გამოყენებასთან დაკავშირებით.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, გეოლოგიური ინფორმაციის წყაროდ გამოყენებულია 1960 და 1979 წელს მომზადებული გეოლოგიური ანგარიში. შესაბამისად, გეოლოგიური საკითხები საჭიროებს დამატებით შესწავლას და შეფასებას.

როგორც უკვე აღინიშნა საპროექტო ტერიტორიის სიახლოვეს მდებარეობს კოლხეთის ეროვნული პარკი, რომელიც ამავდროულად წარმოადგენს ჭარბტენიან ტერიტორიას (რამსარის საიტს) და ზურმუხტის ქსელის საიტს. გარდა ამისა, წარმოდგენილი მონაცემების ელექტრონულად გადამოწმების შედეგად დადგინდა, რომ ტორფის საბადო მდებარეობს გადამფრენ ფრინველთათვის განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე ტერიტორიაზე, რაც აგრეთვე საჭიროებს დამატებით შეფასებას.

სკრინინგის განცხადებაში არ არის შეფასებული საქმიანობის შესაძლო ზემოქმედების ხარისხი და კომპლექსურობა. აღნიშნული საკითხები საჭიროებს დამატებით შეფასებას.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სკრინინგის განცხადება განთავსდა სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და ქ. ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე. ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე სამინისტროში წერილობითი შენიშვნები დააფიქსირა არასამთავრობო ორგანიზაცია „მწვანე ალტერნატივამ“, რომელიც ეხება სკრინინგის განცხადების არასრულფასოვნად შესრულებას. შენიშვნის ძირითადი არსი მდგომარეობს, იმაში, რომ განცხადებაში არ არის მოცემული გადაწყვეტილების მიღებისათვის მთავარი მახასიათებლის - შესაძლო ზემოქმედების ხასიათის შესახებ ინფორმაცია.

სკრინინგის განცხადების მიხედვით დგინდება, რომ ქ. ფოთის მიმდებარე ტერიტორიაზე ტორფის მოპოვება თავისი მასშტაბით (129 ჰა), მოპოვების მეთოდით (ღია კარიერული წესით) და მდებარეობით გამოიწვევს მნიშვნელოვან ზემოქმედებას გარემოზე.

ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს მე-7 მუხლის მე-6 ნაწილის და ამავე კოდექსის II დანართის მე-2 პუნქტის 2.1 ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ ქ. ფოთის მიმდებარე ტერიტორიაზე (უბანი ნაბადა), 420 933 ტონა ტორფის მოპოვება **დაექვემდებაროს** გარემოზე ზემოქმედების შეფასებას;
2. ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის'' მე-8 მუხლის შესაბამისად უზრუნველყოს სკოპინგის პროცედურის გავლა;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს სსიპ ,,წიაღის ეროვნულ სააგენტოს";
4. ბრძანება ძალაში შევიდეს სსიპ ,,წიაღის ეროვნული სააგენტოს" მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში აღნიშნული გადაწყვეტილება განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და ქ. ფოთის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი